საყურადღებო ინფორმაცია:

- მინდობითი აღზრდა, როგორც ბავშვებზე ზრუნვის ერთ-ერთი სერვისი, მსოფლიოში კარგად აპრობირებული და გავრცელებულია. სახელმწიფო, მინდობით ოჯახს **ფინანსურად ეხმარება**, რათა ოჯახმა უკეთ შეძლოს ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება.
- ოჯახი, სადაც მინდობით აღზრდაში განთავსდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი, სახელმწიფოსგან განსხვავებულ მხარდაჭერას იღებს.
- მინდობით ოჯახს ბავშვზე ზრუნვის პერიოდი ეთვლება შრომით სტაჟად.

დამატებითი შეკითხვებისათვის მიმართეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს:

1505

და სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს

საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

www.moh.gov.ge

ყველა ბავშვი ოჯახში

გაუზიარე ბავშვს ოჯახი

სახელმწიფოს პრიორიტეტია ბავშვი იზრდებოდეს ოჯახში, დედასთან და მამასთან, რაც ბავშვის განვითარებისთვის საუკეთესო გარემოა.თუმცა ჩვენს გვერდით ჯერ კიდევ ცხოვრობენ ობოლი, მიტოვებული და ძალადობის მსხვერპლი ბავშვები. მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ.

- ამჟამად 1359 ბავშვი იმყოფება მინდობით აღზრდაში , მათ შორის 201 სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვია.
- სახელმწიფო ეძებს ოჯახებს/პირებს, რომლებიც მზად არიან მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს შეუქმნან ოჯახური გარემო, საკუთარ ჭერქვეშ, ნამდვილი მშობელივით იზრუნონ მათ ყოველდღიიურ საჭიროებებზე და გახდნენ მათი მინდობითი მშობლები.
- თუ გაქვთ მოტივაცია -- შეცვალოთ ოჯახურ სითბოს მოკლებული ბავშვის ცხოვრეება და მომავალი, სახელმწიფო თქვენ განდობთ ბავშვს აღზრდისთვის.

თუ გსურთ დარეგისტრირდეთ მინდობით მშობლად, ამისთვის საჭიროა:

ოჯახს/პირს გააჩნდეს შემოსავალი და სახლში არსებობდეს სათანადო პირობები ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის. სოციალური აგენტი შეაფასებს ოჯახის/პირის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სისტემა მიანიჭებს შესაბამის სარეიტინგო ქულას.

- მინდობით მშობლად რეგისტრაციისთვის პირმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას.
- სოციალური მუშაკი შეაფასებს ოჯახის წევრების მზაობას და უნარ-ჩვევებს. პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაარეგისტრირებს მსურველ პირს მინდობით აღმზრდელად.
- მომავალი მინდობით აღმზრდელები გადიან მოკლე ტრენინგ – კურსს, რათა მომზადებული შეხვდნენ ბავშვს, სწორად წარმართონ მასთან ურთიერთობა, იზრუნონ მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებაზე.

გზამკვლევი მინდობითი მშობლებისთვის::

- ბიოლოგიურ ოჯახთან ბავშის ურთიერთობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მინდობით აღზრდაში. ბავშვი მუდმივად ურთიერთობს ოჯახთან. თუ ბიოლოგიურ მშობელს არ აქვს შეზღუდული ნახვის უფლება;;
- სოციალური მუშაკი ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და მინდობითი მშობლის მხარდამჭერია. იგი დაგეხმარებათ როგორც ბავშვთან ურთიერთობაში, ასევე მასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში;

- სოციალური მუშაკი პერიოდულად ახორციელებს ვიზიტს მინდობითი აღმზრდელის ოჯახში და მონიტორინგს უწევს ბავშვის ცხოვრებასა და განვითარებას;;
- სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვი მინდობით მშობელთან რჩება დროებით-ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.